ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №5569718

ნომერი: AR1843185

თარიღი : 09.08.2021

გაცემის თარიღი : 27.08.2021

გაცნობის თარიღი : 27.08.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-2-სა და ვაზისუბნის საცხ. რაიონს შორის, (ნაკვ. 14/140);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჭუმბურიძე პ/ნ 62001018116
- ქ.თბილისი, ზ.ფანასკერტელ ციციშვილის 7, ბინა 71

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5149079 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 09 აგვისტოს №AR1843185 განცხადებით მომართა დავით ჭუმბურიძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 19

ოქტომბრის №5149079 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5149079 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვარკეთილი-2-სა და ვაზისუბნის საცხ. რაიონს შორის (ნაკვ. 14/140) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.36.014.593) შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი 1, ბლოკი „დ“) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 04 ნოემბრის № 5169807 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 04 ნოემბრიდან 2021 წლის 04 იანვრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5149079 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ დამხმარე 35.38 კვ.მ., ფართობის ამოღებას ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებიდან. ასევე, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 3386.9 კვ.მ-ის ნაცვლად 3381.51 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 355.6 კვ.მ-ის ნაცვლად 355.58 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 678.5 კვ.მის ნაცვლად 698.29 კვ.მ-ის, სასაწყობე ფართობად 642.11 კვ.მ-ის ნაცვლად 674.97 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 5098.49 კვ.მ-ის ნაცვლად 5110.35 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5149079 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

---